ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6342724

ნომერი: AR1951319

თარიღი : 24.02.2023

გაცემის თარიღი : 27.02.2023

გაცნობის თარიღი : 27.02.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა , N123გ; ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩაზე, მიონის წინ მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 135ა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 133 ; ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩაზე, მიონის წინ მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 133 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 135ა ; ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩაზე, მიონის წინ მიმდებარე ტერიტორია ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 143 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 143 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N147-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა ჯანიკაშვილი პ/ნ 01026006350
- ცაგარელის 45

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11/12/2019 წლის № 4786944 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 24/02/2023 წლის AR1951319განცხადებით მომართა მოქალაქე კობა ჯანიკაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 11/12/2019 წლის № 4786944 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების

შეტანა, საპროექტო ტერიტორიის კონფიგურაციის დაზუსტების კუთხით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/12/2019 წლის № 4786944 ბრძანებით, ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 133 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 135ა ; ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩაზე, მიონის წინ მიმდებარე ტერიტორია ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 143 , მიმდებარედ (ს/კ: 01.13.02.003.150; 01.13.02.003.134; 01.13.02.003.164; 01.13.02.003.145 მიწს ნაკვეთზებზე, ჯამური ფართობით: 5970.00 კვ.მ.) საგამოფენო დარბაზის აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/12/2019 წლის № 4786944 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და საპროექტო ტერიტორიად ს.კ N01.13.02.003.410, ს.კ N01.13.02.003.400, ს.კ N01.13.02.003.411 და ს.კ N01.13.02.003.421 (ჯამური ფართით: 7266.00 კვ.მ) მიწის ნაკვეთების დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 23 თებერვლის N ბ01. 01230549 ბრძანების საფუძველზე სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 11/12/2019 წლის № 4786944 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ

1.1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/12/2019 წლის № 4786944 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ტექრიტორიად დაფიქსირდეს ს.კ N01.13.02.003.410, ს.კ N01.13.02.003.400, ს.კ N01.13.02.003.411 და ს.კ N01.13.02.003.421 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები (ჯამური ფართობი: 7266.00 კვ.მ).

1.2. პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის სტადიაზე გაერთიანდეს მიწის ნაკვეთები.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/12/2019 წლის № 4786944 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.